ხელშეკრულება საქონლის შესყიდვის შესახებ #55

დ.მესტია 26.04.2022 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, ს/კ 235895046, წარმოდგენილი მერის, კაპიტონ ჟორჟოლიანის სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „ეტალონი-განათლება“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), ს/კ 404561979, წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ტყეშელაშვილის სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: CPV: 22100000

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია - ნაბეჭდი წიგნების შესყიდვა (CPV კოდი-221; „პირველკლასელთა აკადემია“, ქართული ანბანის ინოვაციური შესწავლა, საშინაო მეცადინეობებისთვის შედგენილი წიგნი-რვეული, ავტორი გოჩა ტყეშელაშვილი) 180 (ას ოთხმოცი) ეგზემპლარი.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია მიაწოდოს „შემსყიდველს“ დაკვეთილი საქონელი 2022 წლის 10 მაისამდე მისამართზე: მესტია, სეტის მოედანი #1

2.2.შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად „მიმწოდებლის“ მიერ ერთიან საგადასახადო სისტემაში შესაბამისი სასაქონლო ზედნადების ატვირთვის და მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- გადაუხადოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასი;
- მიიღოს ნაყიდი საქონელი.

3.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

- უკან დაუბრუნოს „მიმწოდებელს“ მიწოდებული საქონელი, მიღებიდან 3 (სამი) დღის ვადაში, თუ საქონელი აღმოჩნდება წუნდებული.

3.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

3.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით შეთანხმებული ღირებულების ანაზღაურება.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4 500 (ოთხიათას ხუთასი) ლარს.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორების ფორმა: გადარიცხვა (უნაღდო ანგარიშწორება);

5.2. ანგარიშსწორების ვადა: საქონლის მიღებიდან და შესაბამისი სასაქონლო ზედნადების ატვირთვიდან 10 (ათი) კალენდარული დღე;

5.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

6. ფორს-მაჟორული სიტუაციები

6.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე;
6.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;
6.3.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

7. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

7.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;
7.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2022 წლის 31 მაისის ჩათვლით;
8.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
9.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.
9.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

მიმწოდებელი	**შემსყიდველი**
შპს „ეტალონი-განათლება“ ს/კ 404561979 ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #116 დიდუბე-პლაზა, ოფისი #203 სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE82TB7994636080100007 დირექტორი LTD ETALONI-GANATLEBA Digitally signed by LTD ETALONI-GANATLEBA Date: 2022.04.27 11:40:50 +04'00' თამარ ტყეშელაშვილი	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია ს/კ 235895046 მის: მესტია, სეტის მოედანი#1 სახაზინო ანგარიში: 30004100000 მერი MESTIA MUNICIPALITY Digitally signed by MESTIA MUNICIPALITY Date: 2022.04.27 11:53:03 +04'00' კაპიტინ ჟორჟოლიანი